

# ლ. ლატინინა აბსოლუტური ჩემპიონია

ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები ძირითადად საბჭოთა და ჩეხი ტანმოვარჯიშეები იყვნენ. ამიტომ მათი გამოსვლები ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა. ნებისმიერი ვარჯიშების შესასრულებლად პირველად გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები, მათ შორის ე. ბოსაკოვაც, რომელიც სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა. ჩეხმა სპორტსმენმა ამჯერადაც ყველა იარაღზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისუფალი ვარჯიში, რომელიც მან დიდი გემოვნებით, მსუბუქად და მოხდენილად შეასრულა. 9,8 ქულა! ასეთი იყო მსაჯების გადაწყვეტილება. შესანიშნავი იყო აგრეთვე სხვა ჩეხი ტანმოვარჯიშეების მიერ შესრულებული ვარჯიშები, მაგრამ, როცა ჯერი საბჭოთა გუნდზე მიდგა და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებმა თანმიმდევრობით შეასრულეს ვარჯიშები, უკვე ცხადი გახდა, რომ ჩეხებს მხოლოდ მეორე ადგილის მოპოვების იმედი უნდა ჰქონოდათ. ზედმიწევნით ზუსტად, თითქმის შეუცდომლად ასრულებდნენ ვარჯიშებს ლ. ლატინინა და სხვა საბჭოთა ტანმოვარჯიშეები. საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. ლატინინა, ს. მურატოვა, თ. მანინა, პ. ასტახოვა, ლ. კალინინა და რ. ბორისოვა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება და 10 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გამოსული ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი.

10 ივლისს ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა, ამჯერად, ცალკეულ იარაღებზე. კვლავ თავი ისახელა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. ლატინინამ, რომელმაც ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვა ორძელზე ვარჯიშსა და ხტომებში. ორი ოქროს მედლის მფლობელი გახდა აგრეთვე ჩეხი ტანმოვარჯიშე ე. ბოსაკოვა, იგი პირველი იყო თავისუფალ ვარჯიშში, ხოლო წონასწორობაში პირველი და მეორე ადგილები გაიყო თ. მანინასთან ერთად.

თუ კი ვაჟთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებოდნენ საბჭოთა და იაპონელი ტანმოვარჯიშეები, ცალკეულ იარაღებზე აშკარად ჩანდა ჩვენი სპორტსმენების უპირატესობა. შეჯიბრების ნამდვილი გმირი იყო ბ. შახლინი. იგი შეუდარებლად ვარჯიშობდა ძელზე, ტაიჭზე, ორძელზე და მსოფლიო ჩემპიონის 3 ოქროს მედალი დაისაკუთრა. როგორც მოსალოდნელი იყო რგოლებზე ვარჯიშში ყველას აჯობა ა. აზარიანმა, ხოლო ხტომებში გაიმარჯვა ი. ტიტოვმა.

იაპონელი ტანმოვარჯიშეებიდან მხოლოდ ერთმა მოიპოვა — ოქროს მედალი. 38 წლის მასაო ტაკემოტოს ტოლი არა ჰყავდა თავისუფალ ვარჯიშში.

* * *



სურათებზე: ლ. ლატინინა ძელზე ასრულებს ნებისმიერ ვარჯიშს. ქვევით — ბ. შახლინი რგოლებზე ვარჯიშის დროს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

№ 83 (1258) | პარასკევი, 18 ივლისი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

# სტუდენტთა ჩემპიონატი

ბულგარეთის კურორტზე, რომელსაც ეწოდება „ოქროს ქვიშა", დაიწყო მსოფლიოს მეხუთე გუნდური პირველობა ჭადრაკში სტუდენტებს შორის. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდნენ 16 ქვეყნის მოჭადრაკეები, რომელთა შორის არიან საბჭოთა გროსმაისტერები ტალი და სპასკი, ოსტატები გურგენიძე, გიპსლისი, ნიკიტინი, ნიკოლაევსკი. არგენტინელი გროსმაისტერი პანო, ჩეხოსლოვაკელი გროსმაისტერი ფილიპი, იუგოსლაველი ოსტატი ჯურაშევიჩი, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის ამერიკელი ოსტატი ლომბარდი და სხვები.

შეჯიბრების მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ ოთხ ნახევარფინალურ ჯგუფად: **პირველი ჯგუფი** — ირლანდია, გდრ, საბჭოთა კავშირი, რუმინეთი; **მეორე ჯგუფი** — ბულგარეთი, ალბანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ისლანდია; **მესამე ჯგუფი** — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, უნგრეთი, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია; **მეოთხე ჯგუფი** — იუგოსლავია, არგენტინა, პოლონეთი, შვეცია. თვითეულ გუნდში ოთხი ძირითადი და ორი სათადარიგო მოთამაშეა. დებულების თანახმად ფინალში გადის ორ-ორი გუნდი თვითეული ჯგუფიდან. დანარჩენი გუნდები ერთმანეთში გაითამაშებენ მე-9-16 ადგილებს.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა სამივე შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს და თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. გურგენიძემ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორ მატჩში გდრ-სა და ირლანდიასთან. ქართველმა ოსტატმა ერთი პარტია მოიგო და ერთიც ყაიმით დაამთავრა. მეორე ადგილზე გავიდნენ გერმანელი მოჭადრაკეები.

დანარჩენ ჯგუფებიდან ფინალში მოხვდნენ: არგენტინა, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და ამერიკის შეერთებული შტატები.

# დიდი შეჯიბრების წინ

მიმდინარე წლის სექტემბერში ბუდაპეშტში გაიმართება ევროპის პირველობა ცურვაში. ამ ღონისძიებისათვის დიდი ხანია დაიწყეს მზადება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებმა. ამ დღეებში მოსკოვში ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში მოეწყო ნაკრების პირველი „რეპეტიცია" გდრ-სა და უნგრეთის სპორტსმენებთან საერთაშორისო შეხვედრაში.

ქალთა შეჯიბრება 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში აღინიშნა სტალინგრადელი მოსწავლის გ. კამაევას გამარჯვებით, რომელმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 1.12,3. ეს შედეგი ევროპაში მესამეა ცურვის ამ სახეობის ისტორიაში.

მეორე საკავშირო რეკორდი საბჭოთა ქალებმა დაამყარეს კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. ლ. ვიქტოროვამ, ე. უსმეევმა, გ. კამაევამ და უ. ვოოგმა აჩვენეს საუკეთესო შედეგი — 4.57,8.

გდრ-ის ახალი რეკორდით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. იგი ეკუთვნის ხ. გრიგორუს და უდრის 57,7 წამს. პირველი ადგილი წილად ხვდა ლენინგრადელ ი. ლუქოვსკის — 57,4.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უძლიერესი იყო თბილისელი მოცურავე ბ. ნიკიტინი — 4.39,1.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

# სასტენდო სროლას — ფართო გასაქანი

Ილია ჭავჭავაძის სახელობის პროსპექტის დასასრულს, სადაც თბილისი თავდება და აგარაკ წყნეთის გზა იწყება, ხევის პირას აგებულია რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სტენდი. იგი საქართველოს მონადირეთა კავშირს ეკუთვნის. ამ ორგანიზაციამ ჩაუყარა საფუძველი რესპუბლიკაში სასტენდო სროლას, აგო ბაზები, გამოზარდა ისეთი მაღალკვალიფიციური ოსტატები, როგორებიც არიან მაჩხანელი, ანტონოვი, ჩახნაშვილი, სარქისოვი, ცაგარეიშვილი, ჯაბახიძე, საგანელიძე და მრავალი სხვა. ზემოჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა მრავლად არიან სასტენდო სროლის მოყვარულები ბათუმში, სოხუმში, მახარაძეში, ქუთაისში. ამას წინათ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა დიდად გაახარა მესტენდურე ქალის ე. მელიქიშვილის წარმატებამ. მან პირველმა ქალთა შორის რესპუბლიკაში შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი რიგზეა და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე წარმატებით მონაწილეობას წინ არაფერი დაუდგება. მაგრამ სპორტის ამ სახეობის ფართოდ დანერგვის ინტერესები მოითხოვს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა და იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ეს ევალებათ მეტი კონტროლი გავუწიოთ და რასაკვირველია, მეტიც მოვთხოვოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობას ძირითადად „მონკავშირი" მისდევს, ამიტომ ჩვენც მასზე გვექნება ლაპარაკი.

მთავარია კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე შეინარჩუნო, რათა ბრძოლით მოპოვებული დიდება ხელში არ შეგადნეს. როცა ამას ვამბობთ მხედველობაში გვაქვს „მონკავშირის" სტენდები ბათუმში, მახარაძეში, სოხუმში ქუთაისში. პირველ ორში სასტენდო დანადგარები მოძველდა. თეფშებს სუსტი ფრენი აქვთ. „მონკავშირის" ადგილობრივი განყოფილებები უმოქმედობენ, შემთხვევიდან შემთხვევამდე აწყობენ შეჯიბრებებს. სოხუმში ახლახან აშენდა სტენდი და არსებულ სტანდარტს მთლიანად პასუხობს, მაგრამ დაწყებულ მშენებლობას დამთავრებაც უნდა. შეუწყნარებლად ჭიანურდება თბილისის სტენდის რეკონსტრუქცია.

ქუთაისის სტენდი ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტსა და „მონკავშირს" ეკუთვნის. ორივე ორგანიზაცია ერთმანეთს შეცქერის და რემონტს არც ერთი არ აკეთებს. აი ასეთ მდგომარეობაშია „მონკავშირის" ბაზები. ამიტომაა, რომ საქართველოს პირველობაზე პერიფერიებიდან ჩამოსული მსროლელები, ზოგიერთის გამოკლებით, ვერ აჩვენებდნენ მაღალ შედეგებს და თბილისში თუ შეიძლება ითქვას „თოფის ლულის" გასაწმენდად ჩამოდიან. ბაზების ცუდ მდგომარეობას უნდა დავუმატოთ თოფების, საფანტის, ვაზნების დიდი სიმცირე და ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ საქართველოს მონადირეთა კავშირმა ამ მიმართულებით მუშაობა შეასუსტა. ჩვენ გვსურს მის ხელმძღვანელობას მოვაგონოთ, რომ რესპუბლიკაში სასტენდო სროლის საქმის ორგანიზაცია ზემდგომმა ორგანოებმა მას დაავალა და, როგორც წესია, დადგენილებას განუხრელად შესრულება უნდა. დროა სპორტსმენთა ვიწრო წრესთან მუშაობას და რამდენიმე მესტენდურის საუკეთესო შედეგებით ტრაბახს თავი დავანებოთ და მასობრიობაზე ვიზრუნოთ.

რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარების ის დონე, რომელიც დღეს გვაქვს, არ გვაკმაყოფილებს. მაგრამ სწორი არ იქნება, რომ მასში ბრალი მარტო „მონკავშირს" დავდოთ. რას აკეთებენ ჩვენი სპორტული საზოგადოებები „დინამო", „ბურევესტნიკი", „განთიადი", „ლოკომოტივი", რატომ არ არის კულტივირებული სპორტის ეს სახეობა ამ ორგანიზაციებში? პასუხი ერთია — გაურბიან „ზედმეტ" ხარჯებს, მათ უფრო ისეთი სპორტის სახეობა აინტერესებთ, სადაც ნაკლები ფული, ნაკლები შრომა დაეხარჯებათ და ნაყოფს ბევრს მოიმკიან. სასტენდო სროლა კი, როგორც მოგეხსენებათ, ძვირად ღირებულ ინვენტარს მოითხოვს. მიუხედავად კომიტეტის მრავალი გაფრთხილებისა, სპორტული საზოგადოებები ჯერ კიდევ არ ფიქრობენ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას.

უნდა ვუსაყვედუროთ როგორც ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელ სექციას, ისე „მონკავშირის" ხელმძღვანელ სექციასაც. პირველი არ არის საქმის კურსში თუ რას აკეთებს მეორე, ხოლო მეორე უკვე მერამდენე წელია, რაც არ გადახალისებულა. ამასთან მათ შორის არ არის კეთილმეზობლური განწყობილება. ისინი ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ სასტენდო სროლაში არსებული ხარვეზები ერთმანეთს გადააბრალონ. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ „კოლმეურნის" შესახებ. ამ საზოგადოებაში მრავალი მონადირეა გაერთიანებული ე. ი. ისეთი ხალხი, რომლებიც სასტენდო სროლასთან მეტად ახლოს არიან. საჭიროა მათი სექციაში გაერთიანება, რამდენიმე სტენდის მოწყობა და შედეგებსაც კარგს მივიღებთ. მაგრამ სამწუხაროდ, „კოლმეურნის" ხელმძღვანელობა, ისე როგორც სხვა საზოგადოებები, სასტენდო სროლას მეტად ალმაცერად უყურებს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე ჩვენმა მესტენდურეთა გუნდმა V ადგილი დაიკავა. ეს შედეგი მაშინ მეტად დაძაბული ბრძოლით მოვიპოვეთ. ეს გვავალებს, რომ ახლავე შევუდგეთ საქმეს კოლექტიურად, სიყვარულით, რათა მომავალ სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულ დელეგაციას შევმატოთ საჭირო ქულები.

სასტენდო სროლა მოწინავეთა რიგებში უნდა იყოს! ასეთია ამოცანა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაჭრან სპორტის ამ სახეობის მესვეურებმა.

# პირველ ადგილზე

ამის წინათ მოსკოვში ჩატარდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში მოზარდთა გუნდებს შორის.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა (როგავა, გვასალია სმირნიცკი. გუნდის მწვრთნელი ა. ჩეკცოვი) კარგი მომზადება გამოამჟღავნეს და დაიკავეს პირველი ადგილი, მომდევნო ადგილებზე არიან აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდები.

პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა საქართველოს გუნდის წევრმა როგავამ.

ვ. ბუხნიკაშვილი



მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი წყალში ხტომაში. ქალთა შორის გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ნ. კრუტოვამ.

სურათზე: ნ. კრუტოვა ტრამპლინიდან ხტომის დროს.

ფოტო ა. ბატაშვილისა.

# რა ვნახე მსოფლიო პირველობაზე





ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალი.

რა შეიძლება იყოს ამაზე კარგი სანახავი მათთვის, ვისაც თავისი სიცოცხლე ფეხბურთისათვის შეუწირავს.

და აი ჩვენ, მთელი საბჭოთა დელეგაცია მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ვსხედვართ სტოკჰოლმის „როსუნდას" სტადიონზე და ველით „უმაღლესი ფეხბურთის" დაწყებას.

სტადიონი სავსეა მაყურებლებით. ამბობენ, „შავ ბირჟაზე" ბილეთების ფასმა 400-დან 600-800 კრონამდე აიწიაო. ეს მთელი ქონებაა, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ბილეთები მაინც იყიდებაო.

მთელი ღამე და დილითაც განუწყვეტლივ წვიმდა. მინდორი დასველდა, დამძიმდა და ახლა აქ გაცხარებული მუშაობაა მის გასაშრობად.

ასეთი მინდორი შვედებისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია და იგი მხოლოდ ხელს შეუშლის ბრაზილიელთა მაღალტექნიკურ თამაშს, მაგრამ კოკისპირულადაც რომ იწვიმოს, მე მაინც ღრმად დარწმუნებული ვარ ბრაზილიის გუნდის გამარჯვებაში. ჩვენს დელეგაციაში წინასწარ მოვაწყეთ თავისებური ლატარია, სადაც მე ჩავწერე ანგარიში 5:1 ან 6:2 ბრაზილიელთა სასარგებლოდ.

მატჩის დაწყებამდე საკმაო დროა, მაგრამ მაყურებლები არ არიან მოწყენით. მინდორზე ჯერ ვილაც იუმორისტი მსახიობი გამოდის და ყოველი მისი სიტყვა ხმამაღალ სიცილს იწვევს ხალხში. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვესმის მისი ოხუნჯობა. შემდეგ მინდორზე გამოდის ქალ-ვაჟი, რომლებიც გიტარის თანხლებით მშვენივრად ასრულებენ ავსტრალიურ სიმღერებს. მათ ხანგრძლივი ტაშით აცილებენ.

უცებ მინდორზე ტრიბუნებიდან ბურთით ხელში გადმოხტა რომელიღაც მაყურებელი, სულ ახლოს მიირბინა კართან და სცადა ბურთის კარში შეგდება ფეხით, მაგრამ მთელი სტადიონის საერთო სიცილის ქვეშ ორჯერ ზედიზედ დააცილა კარს. ამასობაში მას მიუსწრო პოლიციელმა და მინდვრიდან გაყვანა დაუპირა, მაგრამ მაყურებელი საკმაოდ „პრინციპული" აღმოჩნდა: იგი არაფრით არ დაემორჩილა პოლიციელს სანამ ბურთი არ შეაგდო. როცა ეს წადილი შეისრულა, მან თავაზიანად აჩუქა ბურთი პოლიციელს და თვითონ ტრიბუნისკენ გაიქცა.

მატჩის დაწყებას აკლია 20-25 წუთი. მაყურებლები უბრალო გართობიდან თანდათან გადადიან თავიანთი გუნდისათვის ნიადაგის მომზადებაზე და იწყება საყოველთაო სკანდირება „ჰეია, ჰეია, ჰეია", რაც ჩვენს ენაზე დაახლოებით ნიშნავს „მიდი, მიდი, მიდი".

გაგრძელება. იხ. № 81-82.

ბ. პაიჭაძე

სპორტის დამსახურებული ოსტატი

ორი შვედი გულშემატკივარი ეროვნული დროშებით ხელში გადმოვიდა მინდორზე და დირიჟორობდა ხალხს და ტრიბუნებიც ერთგულად, ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდნენ „ჰეია"-ს. ამას დაემატა სასულე ორკესტრიც, რომელმაც მძლავრად დააგუგუნა შვეციის ეროვნული ჰიმნი. ერთი სიტყვით, ბრაზილიელთა მომხრენი თითებზე ჩამოსათვლელად ვიყავით—ძირითადად უცხოეთის დელეგაციები.

მინდორზე გამოდის შვეციის მეფე გუსტავ ადოლფი იგი მიესალმება მსაჯებს, შემდეგ ბრაზილიელ და ბოლოს, შვედ ფეხბურთელებს. ოფიციალური ცერემონიალი მთავრდება. მცირე მოთელვის შემდეგ მარსელელი მსაჯი მ. გიგი აძლევს სასტვენს და მატჩი იწყება.

ისინი ვინც ესწრებოდნენ წინა მატჩებს, უკვე შეეჩვივნენ იმას, რომ ბრაზილიელები მსაჯის პირველი სასტვენიდან იწყებენ მოწინაალმდეგის კარის თავბრუდამხვევ შტურმს, ფაქტიურად თამაშის დასაწყისშივე უმსხვრევენ მას ყოველგვარ გეგმას და აიძულებენ უკან დახევას ღრმა დაცვაში.

მაგრამ ამჯერად პირიქით მოხდა. შვედები 3 წუთის განმავლობაში თავდავიწყებით უტევდნენ მოპირდაპირე კარს და როცა 35 წლის ლიედჰოლმმა მოულოდნელი დარტყმით ბურთი კარში გაიტანა, ტრიბუნებზე ენით აუწერელი, წარმოუდგენელი ღრიანცელი ატყდა. სტადიონი საგიჟეთს დაემსგავსა, სადაც ხტოდნენ, იცინოდნენ, ყვიროდნენ, ცეკვავდნენ.

ბრაზილიელებს აშკარად ეტყობოდათ, რომ არ მოელოდნენ ასეთ დასაწყისს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მოთამაშეებს იოტის ოდენა აღელვება ან პანიკა დატყობოდათ თამაშში. მათ, პირველ ყოვლისა, ბურთის წყნარი და უშეცდომო გადაცემებით ჩააქრეს შვედების ენთუზიაზმი და სულ მალე გენერალურ შეტევაზე გადავიდნენ. სამჯერ ზედიზედ გაიჭრა თავის ფლანგზე მარჯვენა გარემარბი გარინჩა და შვეციის გუნდის მცველები თავგანწირვით უწვებოდნენ მას ფეხებში, რათა როგორმე შეეჩერებინათ ეს აგრესიული ფორვარდი.

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მე-9 წუთზე გარინჩა ერთხელ კიდევ გაექცა მცველებს, უკანასკნელ მათგანს — აქსბომს ზედ ცხვირწინ შემოუარა და თითქმის პირითი ხაზიდან მიაწოდა ცენტრში. ვავამ ჩინებულად იცის გარინჩას მოწოდებათა დროცა და ადგილიც: იგი სწრაფად გავიდა წინ და მშვიდად შეაგორა ბურთი კარში — 1:1.

მცირე ხანს შემდეგ ბრაზილიელებმა გაიტანეს მეორე გოლი, რომელიც ისე ჰგავდა პირველს, როგორც ორი წვეთი წყალი. ეს იყო ნამდვილი ტყუპი გოლი. საღლაც მინდვრის სიღრმეში კომბინაცია წამოიწყო პელემ. ბურთი მიიღო ჯერ ზიტომ, შემდეგ — გარინჩამ. და აი ეს „მცველების რისხვა" ნელნელა, თითქოს ეპარებაო, ისე უახლოვდება დაბნეულ აქსბომს. ამ უკანასკნელის დასახმარებლად სწრაფად მორბის ლიედჰოლმიც, მაგრამ ორი კაცი გარინჩასათვის არაფერია — იგი თვალის დახამხამებაში გავარდა მარჯვნივ, მიაწოდა ცენტრში, სადაც უკვე მზად იყო ვავა. აქ არავითარ მოულოდნელობას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. დარტყმა. გოლი. 2:1.

ტაიმი ამ ანგარიშით დამთავრდა. შესვენების შემდეგ 10 წუთი იყო გასული და სტადიონმა კვლავ იფეთქა მძლავრი ტაშით. მესამე გოლის ავტორს — პელეს მიესალმებოდა ყველა, ჩვენც — უცხოელები და მასპინძლებიც —შვედები.

მე იშვიათად მინახავს ასეთი ლამაზი გოლი: პელეს ბურთი მიაწოდეს როცა ის 3 მოწინაალმდეგე მცველით გარშემორტყმული ზურგით იდგა კარისკენ. პელემ გულზე მიიღო ბურთი, გადაიგდო იგი თავს უკან, მოტრიალდა და ბურთს არ აცალა ძირს დაშვება ისე დაარტყა კარში. რა თქმა უნდა, სვენსონი უძლური იყო ამ ბურთის წინაშე და არც მის პარტნიორებს — მცველებს შეეძლოთ მისი დახმარება. პელემ მთელი ეს მანიპულაცია ბურთით შეასრულა როგორც ჟონგლიორმა.

შვედებმა მთელი თავიანთი ძალები გადაისროლეს გარინჩას და პელეს წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ბრაზილიელებმა თამაშში მთელი სიმძლავრით ჩართეს მარცხენა გარემარბი ზაგალო, რომელმაც ყოველგვარი დაყოვნების გარეშე გამოიყენა მასპინძელთა მცირე შეცდომა დაცვაში და ანგარიში 4-მდე აიყვანა.

35-ე წუთზე შვედებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე გოლის გადარჩენის მიზნით აშკარად დაარღვიეს წესი, მაგრამ მ. გიგმა ბურთი საკუთარი ხელით გამოიტანა მოედნის გარეთ და არ დანიშნა პენალტი. ამის საპასუხოდ შვეციის ფეხბურთელები სწრაფად გადავიდნენ შეტევაზე და სიმონსონმა გაიტანა კიდეც გოლი, თუმცა ბრაზილიის გუნდის მცველები ხელაწეულნი სამართლიანად ელოდნენ მსაჯის სასტვენს „თამაშგარე" მდგომარეობის გამო — 2:4.

სულ რამდენიმე წამი აკლდა მატჩის დამთავრებას, როცა პელემ აკრობატულ ნახტომში კიდევ ერთი ულამაზესი, მეტად ძნელი ბურთი გაიტანა და გუნდებმა ვეღარც მოასწრეს თამაშის განახლება ცენტრიდან. დრო ამოიწურა. თამაში მოიგო ბრაზილიის ნაკრებმა ანგარიშით 5:2.

ეს იყო ღირსეული ჩემპიონის მიერ მოგებული ფინალი. ბრაზილიელებს გულწრფელად მიესალმებოდნენ შვედი ფეხბურთელები, მიესალმებოდა მეფე გუსტავ ადოლფი, ფანფარები გამაყრუებლად უკრავდნენ. მინდორზე ზღვად ელავდნენ ფოტო და კინოკორესპონდენტები, სადაც თითქოს ცურავდნენ სიხარულით გაოგნებული ბრაზილიელები. ისინი ეხვეოდნენ ერთმანეთს, კოცნიდნენ და... ტიროდნენ. დიახ, დიახ. მარცხენა გარემარბი ზაგალო და მეკარე ჟილმარი საქვეყნოდ ტიროდნენ.

შემდეგ, როცა ეს პირველი ექსცესები მიწყნარდა, გუსტავ ადოლფმა სურათები გადაიღო ბრაზილიის ფეხბურთელებთან ერთად, ფიფა-ს პრეზიდენტმა ა. დრიურიმ ჩემპიონებს გადასცა ჟიულ რიმეს თასი, რის შემდეგ ორმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ფინალის ორგანიზატორის — შვეციის სახელმწიფოს პატივისცემის აღსანიშნავად ამ სახელმწიფოს დროშით ხელში შემოურბინეს სტადიონს და მაყურებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სათანადოდ აღნიშნეს ახალი ჩემპიონის მაღალი ოსტატობა.

მსოფლიოს პირველობა დამთავრდა, ოქროს თასს გაუჩნდა ახალი, სავსებით კანონიერი მფლობელი — ბრაზილიის ნაკრები.

ახლა რამდენიმე სიტყვა გამარჯვებულთა შესახებ.

(დასასრული იქნება)

• • •

სურათებზე: მარცხნივ — შვეციის მეფე გუსტავ ადოლფი ბრაზილიელ ფეხბურთელებთან ერთად. მარჯვნივ — ასე ტიროდა ბრაზილიის ნაკრები გუნდის მარცხენა გარემარბი ზაგალო ფინალური მატჩის მოგების შემდეგ.

სურათები ამოღებულია შვედური ჟურნალებიდან.

## ვ. მარღანიას თაოსნობა მისაბაძია

დუშეთის „არაგვის" ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობს საქართველოს პირველობაზე მესამე ჯგუფის გუნდებს შორის. პირველ ტურში დუშელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ახალქალაქის გუნდი და განიცადეს დამარცხება — 2:3.

ამ მატჩს ესწრებოდა თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მარღანია. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ფეხბურთელებმა ეს თამაში წააგეს, გამოცდილი ფეხბურთელი ახალგაზრდა მოთამაშეებში ხედავდა დიდ ენერგიასა და მონდომებას. მან გამოიჩინა თაოსნობა და შეუდგა დუშეთის „არაგვის" წვრთნას. მას შემდეგ ვ. მარღანია სისტემატურად ამოდის თბილისიდან დუშეთში და ატარებს მეცადინეობას ფეხბურთელებთან. ვ. მარღანიას ენერგიულმა საქმიანობამ მალე ნაყოფიც გამოიღო და მას შემდეგ დუშეთის „არაგვს" არ წაუგია არც ერთი მატჩი.

აღსანიშნავია, რომ სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მარღანია ამ მუშაობას ეწევა საზოგადოებრივი დატვირთვის წესით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

ზ. მარგველაშვილი

საქართველოს პირველობა

შედგა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

**I ზონა**

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ „მეტალურგი" (რუსთავი) და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

გორში თამაშობდნენ ადგილობრივი „განთიადი" და თელავის „სპარტაკი". თელაველებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

**II ზონა**

ზუგდიდის „ოდიშმა" თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „ტორპედო". ერთადერთმა ბურთმა, რომელიც გატანილ იქნა ზუგდიდელთა კაში, გამარჯვება მოუტანა „ტორპედოს" — 1:0.

კარგად ჩაატარეს შეხვედრა თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის ფეხბურთელებმა და დაამარცხეს ფოთის გუნდი ანგარიშით 1:0.

რუსთავის „სხივს" მორიგი მატჩი ჰქონდა სამტრედიაში ადგილობრივ „ლოკომოტივთან". დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს სამტრედიელებმა — 1:0.

## გ. ლარიბაშვილი ამარცხებს ნ. ოზეროვს

გასულ საკავშირო პირველობათაგან განსხვავებით, მიმდინარე წელს სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი ჩოგბურთში ტარდება ზონების მიხედვით.

ზონებში გამარჯვებული 4 ქალი და 6 კაცი ითამაშებენ ფინალში, რომელიც გაიმართება თბილისში სექტემბერში.

ბათუმის ზონალურ შეჯიბრებაში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ოზეროვი, სპორტის ოსტატები მ. ნოვიკი, ლ. პრეობრაჟენსკაია, ნ. ბაირაჩნაია და სხვები. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ სახელს იცავდნენ გ. ლარიბაშვილი, გ. კოკაია, რ. აბუანდაძე, კ. მინაევა, ძმები ლ. და ნ. მძინარიშვილები და სხვ.

ვაჟთა შორის პირველ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ოზეროვი და გ. ლარიბაშვილი, რომელმაც მანამდე დაამარცხა გ. კოკაია — 6:1, 6:4, 6:4. ნ. ოზეროვმა თავის მხრივ მოუგო ახალგაზრდა ჩოგბურთელს ნ. მძინარიშვილს — 6:3, 6:0, 6:4.

ქართველმა სპორტსმენმა გამოცდილ ოსტატთან დიდი აღმავლობით ჩაატარა შეხვედრა და მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება — 6:2, 6:2, 6:3. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გ. ლარიბაშვილი და ვ. ბალახნენკოვი. პირველ პარტიაში დამარცხების შემდეგ გ. ლარიბაშვილმა შესანიშნავად ჩაატარა მომდევნო 3 პარტია და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1 (3:6, 10:8, 6:3, 6:4).

სსრ კავშირის პირველობას ფინალში ბათუმის ზონიდან ითამაშებენ გ. ლარიბაშვილი, ვ. ბალახნენკოვი, ნ. ოზეროვი, მ. ნოვიკი, ლ. მძინარიშვილი, გ. კოკაია, ლ. პრეობრაჟენსკაია, ნ. ბაირაჩნაია, რ. აბუანდაძე და კ. მინაევა.

ი. გეგელაშვილი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი

# თბილისი—პარიზი

# 2:2

## თადეუშ სიზოვსკი: „ეს იყო ნამდვილი მატჩი!"



თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 11 ივლისი.

„რესინგი" (პარიზი)-„დინამო" (თბილისი) — 2:2 (1:1).

„რესინგი": პივუა; ლელონი, ბოლინი, უგორენკო; ტიბარი, სენაკი; გრიიე (სარდა), უჟლაკი, პიიარი, სიზოვსკი, გიიო.

„დინამო": კოტრიკაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ღოღობერიძე; ხასაია (გაგნიძე), ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

მატჩი დაიწყო სრულიად მოულოდნელი გოლით „დინამოს" კარში. სიჭინავას მიერ თავით მოგერიებული ბურთი მინდვრის შუაგულში მოხვდა რომელიღაც დინამოელს და გავიდა აუტში. ბურთის გათამაშება ასეთ ზონაში ჩვეულებრივ არავითარ ხიფათს არ წარმოადგენს კარისათვის და ამიტომ თბილისელებმა მჭიდროდ არ აიყვანეს მოწინაალმდეგე თავდამსხმელები, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენეს ფრანგებმა: გიიომ წინ გადაუგდო ბურთი სიზოვსკის, ეს უკანასკნელი სწრაფად გაექცა მცველებს, სულ ახლოს მივიდა კართან და გახსნა ანგარიში — 1:0.

ეს იყო იშვიათი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ფეხბურთში ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო შესაძლებლობა. ფრანგები უდიდესი ყურადღებით და სიზუსტით თამაშობდნენ ყველა ხაზში. მათთვის არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი სიტუაცია მინდორზე — ყოველი ბურთი უნდა დამუშავებულ იქნას სწრაფად, დროულად, გადაეცეს პარტნიორს ზუსტად ისე, რომ მას არ გაუჭირდეს მისი მიღება. ამასთან, „რესინგში" შესანიშნავადაა დამუშავებული სისტემა 4+2+4 და თითო თავისუფალი მოთამაშე დიდი ეფექტით გადადის დაცვიდან თავდასხმაში და პირიქით.

თბილისელი მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდის სიზოვსკის ნახვას. სიზოვსკი, მართლაც უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მისი უყურადღებოდ დატოვება წამითაც არ შეიძლება კარიდან დიდი დაცილებითაც კი, რადგან სიზოვსკი შეუცდომლად ირჩევს ადგილს და პიიართან ერთად უაღრესად სახიფათო შეტევას ქმნის ორმაგი ცენტრის სახით.

თბილისის „დინამოს" 11 ივლისის მატჩისათვის ქების მეტი არაფერი ეთქმის. მთელი გუნდი მოქმედებდა დიდი მონდომებით, კოლექტიურად შემტევ სტილში. თამაში ფაქტიურად დინამოელებისა იყო და „რესინგის" მეკარეს პივუს განუწყვეტლივ უხდებოდა თამაშში ჩარევა. მართალია, თბილისელთა თამაშში არ იგრძნობა ის ეკონომიურობა და სიმსუბუქე, რომლითაც გამოირჩევიან ფრანგები, მაგრამ მათი ენერგია, სისწრაფე და საერთო ძალა გაცილებით მეტია, ხოლო უშუალოდ კარის შეტევის ხანგრძლივობა ზოგჯერ 8-10 წუთს აღწევს.

მე-16 წუთიდან დაწყებული „რესინგის" კარი განუწყვეტელი შტურმის ქვეშ იმყოფებოდა. თამაში ხშირად ზედ კარის წინ მიმდინარეობდა და რამდენიმე მომენტი, რომლებიც გოლით უნდა დამთავრებულიყო, ფუჭად დაიკარგა.

35-ე წუთზე ხასაია შეიჭრა საჯარიმო მოედანში და კარიდან გამოსულ მეკარეს თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი. მელაშვილმა სულ მცირე მანძილით დაასწრო ბოლინის და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში იამანიძემ მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში მიიღო ბურთი ხასაიასაგან და წამით შეაჩერა დარტყმის წინ. ეს წამი საკმარისი აღმოჩნდა სტუმრების მცველთათვის და მათ მოასწრეს ხიფათის ლიკვიდირება. კარგად გავიდა მესხი რამდენიმე მცველს შორის, მაგრამ ააცილა კარს. ასევე დამთავრდა ბარქაიას გარღვევა კუთხური საჯარიმოს მოწოდების შემდეგ.

27-ე წუთზე, როცა „დინამოს" თავდასხმა ნახევარმცველებთან ერთად მორიგ შეტევაზე იყო გადასული, სიზოვსკი მოულოდნელად გაექცა მცველებს და მეკარესთან პირისპირ გავიდა. ბურთი ზუსტად იქნა გატანილი კარის შორეულ კუთხეში — 2:1.

თამაში კიდევ უფრო გამწვავდა. დინამოელები კვლავ უტევდნენ მოწინააღმდეგეს და მალე ხუნდაძემ შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა მეორე საპასუხო გოლი — 2:2.

არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული ი. ლუკიანოვის შეცდომებით აღსავსე მსაჯობა. იგი ხშირად უყურადღებოდ ტოვებდა წესის აშკარა დარღვევებს, ანგარიშს არ უწევდა გვერდითი მსაჯების სიგნალებს, ზოგ შემთხვევაში დამნაშავის სასარგებლოდ აჩერებდა თამაშს (მაგალითად, პირველ ტაიმში იამანიძე და მეორე ტაიმში მესხი სრულიად თავისუფლად გავიდნენ კართან, ლუკიანოვმა კი სასტვენი მისცა მცველის უხეშობისათვის). ასეთი მსაჯობა მხოლოდ ხელს უშლიდა მოთამაშეებს ამ მეტად საინტერესო და დაძაბულ მატჩში.

თამაშის დამთავრების შემდეგ „რესინგის" კაპიტანმა თ. სიზოვსკიმ განაცხადა: „მე ძალიან მომეწონა თბილისის „დინამო". ეს იყო ნამდვილი მატჩი".

ზ. ქორქია

• • •

სურათზე: მ. მესხი გადის გარღვევაზე ლელონთან ბრძოლაში.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.

# „ბ" კლასში გადასვლის მიჯნაზე

თბილისელი მაყურებლები, რომლებიც ესწრებიან სსრ კავშირის პირველობის მატჩებს კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის, ძალზე უკმაყოფილონი არიან ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი გუნდის — თბილისის „ბურევესტნიკის" თამაშით. ამ გუნდმა უკანასკნელ ხანებში ძალზე გააუარესა თამაში. გუნდში არ იგრძნობა კოლექტიური სწრაფვა გამარჯვებისაკენ, მოთამაშეები ძალზე ცუდად ისვრიან კალათში. სუსტად ერკვევიან მოედანზე შექმნილ ვითარებაში. სწორედ ამიტომ გუნდი ახლა იმყოფება „ბ" კლასში გადასვლის მიჯნაზე.

ასე იყო თბილისის „ბურევესტნიკისა" და მოსკოვის „სერპ ი მოლოტის" შეხვედრის დროსაც კი, როცა მატჩი სტუდენტებმა მოიგეს მოსკოველთა შეცდომის შედეგად თამაშის უკანასკნელ წუთზე. პირველი ნახევარი თავიდანვე მოსკოველთა უპირატესობით წარიმართა, რომლებმაც თბილისელთა წინააღმდეგ ზონური დაცვა აირჩიეს. ეს სწორი ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო, რადგან თბილისელ კალათბურთელებიდან მხოლოდ გ. გრიგორიანს შეეძლო კალათში შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნა, ხოლო დანარჩენები ამას ვერ ახერხებდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ „ბურევესტნიკი" მოწინააღმდეგის ზონურ დაცვას ბურთის სწრაფ გადატანას დაუპირისპირებდა მოსკოველთა ნახევარზე, რათა სტუმრებს ვერ მოესწროთ თავიანთი ფარის მისადგომების ჩაკეტვა. მაგრამ ასე არ მოხდა. მოსკოველებს უკვე საიმედოდ ჰქონდათ დაცული თავიანთი ფარი, როცა ბურევესტნიკელები ჯერ კიდევ გართული იყვნენ თავიანთ მოედანზე ბურთის ერთმანეთთან გადაცემებით. ამან, რასაკვირველია, თავისი შედეგიც გამოიღო. დიდი ხნის განმავლობაში ანგარიში მოსკოველებს მიჰყავდათ. თამაშის ბოლო წუთებში ლ. ქველიძის ზუსტი ტყორცნის წყალობით თბილისელებმა მოიპოვეს ძნელი გამარჯვება — 54:52.

შედარებით უკეთ ითამაშა „ბურევესტნიკმა" მოსკოვის „ტრუდის" ძლიერ კოლექტივთან. მთელი თამაშის განმავლობაში ორივე გუნდი ძალზე მაღალ ტემპში უტევდა ერთმანეთს. აქაც გამოვლინდა თბილისელთა უსუსურობა კალათში შორიდან ტყორცნაში, ხოლო „ტრუდის" ფარქვეშ გასვლა მათთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს მოსკოველებმა — 26:22.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა გამოასწორეს მდგომარეობა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ლ. ქველიძის შესანიშნავი თამაში, რომელიც ფარქვეშ მოულოდნელი გასვლებით ბევრ უსიამოვნებას აყენებდა მეტოქეს. მატჩის უკანასკნელ წუთებზე თბილისელები წამოეწიენ მოსკოველებს და თამაშის ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა გამარჯვებული — 51:51.

დაინიშნა დამატებითი 5 წუთი და მაშინვე მოსკოველმა ლ. ხომუტოვამ წინ გაიყვანა თავისი გუნდი —53:51. ამას მოჰყვა ა. გვახარიას ზუსტი ტყორცა — 53:53. თბილისელებს ჰქონდათ მატჩის მოგების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ვ. იურიევამ და ა. გვახარიამ მოსკოველთა ფარს ორი ნაღდი ბურთი ააცდინეს, მაშინ, როცა „ტრუდის" კალათბურთელები მაქსიმალურად იყენებდნენ ანგარიშის გაზრდის ყოველ შესაძლებლობას. მატჩის საბოლოო შედეგია 58:53 „ტრუდის" სასარგებლოდ.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური ანგარიში ასეთია: სკვო (ლენინგრადი)-„დაუგავა" (რიგა) — 34:30, „ბურევესტნიკი" (როსტოვი)-„ტრუდი" (მოსკოვი) — 43:61; „დაუგავა" (რიგა) - „ბურევესტნიკი" (როსტოვი) — 55:49. „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი)-სკვო (ლენინგრადი) — 38:47.

 შ. ჯანდიერი

# გათამაშება კვლავ დაძაბულად მიმდინარეობს

### საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში ვაჟთა შორის

მოსკოვი. კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის მეორე დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია რიგის „სპარტაკისა" და თბილისის „ბურევესტნიკის" შეხვედრამ. მრავალრიცხოვანი მაყურებლის სიმპათიები თბილისელთა მხარეს იყო, რადგან აქ ძალზე მოსწონთ ჩვენი სტუდენტი კალათბურთელების აგრესიული და მონდომებული თამაში. თბილისელებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: მოსეშვილი, კაკაურიძე, ლომსაძე, აჩბა, ლეჟავა. მოედანზე პირველივე წუთებიდან მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. ანგარიში ხშირად იყო თანაბარი — 3:3, 7:7, 9:9. მე-6 წუთზე მოსეშვილის ზუსტი ტყორცნის შედეგად თბილისელები წინ გავიდნენ — 11:9. თამაშის პირველი ნახევრის განმავლობაში წინ იყვნენ ბურევესტნიკელები 8-10 ქულით.

შესვენების შემდეგ რიგელები უფრო გააქტიურდნენ, განსაკუთრებით კარგად თამაშობდა კარნიტისი. ანგარიში გახდა 45:45. ამის შემდეგ თბილისელებმა კიდევ უფრო ენერგიულად შეუტიეს მოწინაალმდეგეს და მაყურებლებმა მხურვალედ მიულოცეს სტუდენტებს მეორე გამარჯვება — 58:54.

თბილისის „დინამო" ამ დღეს თამაშობდა სვერდლოვსკის „ტრუდის" კალათბურთელებთან. ანგარიში გახსნეს დინამოელებმა, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში წინ იყვნენ. ერთ მომენტში ანგარიში გათანაბრდა — 11:11, მაგრამ კილაძის, მინაშვილისა და ინწკირველის ტყორცნები ხშირად აღწევდა მიზანს და პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 39:31 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმიც მოიგო „დინამომ" და გაიმარჯვა საერთო ანგარიშით — 74:59.

ამ დღის დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: ცსკ მო—„კალევი" (ტალინი) — 89:69; „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (ალმა-ატა) — 64:63; „ჟალგირისი" (კაუნასი)-„სპარტაკი" (მოსკოვი) — 61:60; სკვო (რიგა)-„დინამო" (მოსკოვი) — 80:72.

ცსკ მო-ს კალათბურთელები თავიანთი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ თბილისის „ბურევესტნიკის" წინააღმდეგ. თბილისელთა შორის ამჟამად არ იყო ა. აჩბა. თამაში სტუდენტთა შეტევით დაიწყო, რომლებმაც მალე ანგარიში საგრძნობი განსხვავებით წაიყვანეს — 21:8. იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება ანტონოვმა, ბოჩკარიოვმა და სემიონოვმა რამდენიმე კომბინაცია გაითამაშეს და შეამცირეს განსხვავება ანგარიშში, მაგრამ წინ კვლავ სტუდენტი კალათბურთელები იყვნენ. ამ დროს თბილისელთა მწვრთნელმა მ. კეკელიძემ მოედანზე გამოიყვანა მეორე შემადგენლობა, რადგან მათ წინ საპასუხისმგებლო შეხვედრები ჰქონდათ ალმა-ატის „ბურევესტნიკთან", სვერდლოვსკის „ტრუდთან", მოსკოვის „სპარტაკთან", სადაც გადაწყდება „ა" კლასში დარჩენის ბედ-იღბალი. „ბურევესტნიკმა" შეხვედრა წააგო ანგარიშით 67:82.

თბილისის „დინამო" შეხვდა რიგის ოფიცერთა სახლის გუნდს. შესვენებამდე წინ იყო რიგა — 39:28. მეორე ტაიმში დინამოელები უფრო კარგად თამაშობდნენ, მათ ერთხანს ანგარიშიც გაათანაბრეს — 54:54, 55:55, მაგრამ რიგელები მოწინააღმდეგეებზე უფრო ზუსტად ტყორცნიდნენ შორი მანძილიდან, რამაც მათ გამარჯვება მოუტანა ანგარიშით 67:62. კაუნასის „ჟალგირისმა" დაამარცხა ალმა-ატის „ბურევესტნიკი"—86:58, მოსკოვის „სპარტაკმა" — ტალინის „კალევი"—99:78, მოსკოვის „დინამომ" — რიგის „სპარტაკი" — 76:75, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" — სვერდლოვსკის „ტრუდი" — 72:61.

ნ. ბუზუშვილი,
გ. ჟორჟოლაძე.

ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივლისისათვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკვო (რიგა) | 19 | 16 | 8 | 16 |
| ცსკ მო | 19 | 16 | 3 | 16 |
| „დინამო" მოსკოვი | 19 | 13 | 6 | 13 |
| „ბურ." ლენინგრადი | 19 | 11 | 8 | 11 |
| „დინამო" თბილისი | 19 | 10 | 9 | 10 |
| „ბურ." ალმა-ატა | 19 | 9 | 10 | 9 |
| „სპარტაკი" რიგა | 19 | 8 | 11 | 8 |
| „ჟალგირისი" კაუნასი | 19 | 8 | 11 | 8 |
| „კალევი" ტალინი | 19 | 7 | 12 | 7 |
| „ბურ." თბილისი | 19 | 6 | 13 | 6 |
| „ტრუდი" სვერდლოვსკი | 19 | 6 | 13 | 6 |
| „სპარტაკი" მოსკოვი | 19 | 4 | 15 | 4 |

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივლისისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 9 | 5 | 4 | 0 | 28:10 | 14 |
| ცსკ მო | 10 | 5 | 3 | 2 | 19:10 | 13 |
| „შახტიორი" | 12 | 5 | 3 | 4 | 12:14 | 13 |
| „ზენიტი" | 10 | 4 | 4 | 2 | 17:12 | 12 |
| „ტორპედო" | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „ლოკომოტივი" | 9 | 3 | 4 | 2 | 14:11 | 10 |
| „დინამო" კ. | 10 | 2 | 6 | 2 | 16:13 | 10 |
| „დინამო" თბ. | 10 | 4 | 2 | 4 | 16:25 | 10 |
| „დინამო" მ. | 9 | 3 | 2 | 4 | 12:9 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" | 11 | 1 | 6 | 4 | 7:14 | 8 |
| „ადმირალტ." | 11 | 3 | 0 | 8 | 17:30 | 6 |
| „მოლდოვა" | 11 | 0 | 5 | 6 | 12:27 | 5 |

• • •

ლენინგრადი. 9 ივლისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტი" და ცსკ მო.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.



სურათზე: მოსკოვის „ტრუდის" და თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდების შეხვედრის მომენტი.

ლელო

მე-8 წ., № 88 (1258)

ეხმაურებიან წერილს „ეს საკითხი მომწიფდა“

# შეგროვდება ძვირფასი ექსპონატები

გაზეთ „ლელოს“ 8 ივნისის ნომერში მნიშვნელოვანი საკითხია დასმული იმის შესახებ, რომ საჭიროა დაარსდეს ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმი.

საქართველო ძველი დროიდან განთქმული იყო ფიზიკური კულტურის განვითარების მაღალი დონით. გამბედაობა, ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, სიმარდე — ქართველი ხალხის ეს ტრადიციული თვისებები განაპირობა ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა: მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევისაგან თავდაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის საჭიროებამ.

უდავოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც დაწესებულებებში, ისე ოჯახებში მრავალი მნიშვნელოვანი საექსპონატო მასალაა მიმოფანტული და ბევრი მათგანი მივიწყებულიცაა. ამიტომ ქართული სპორტის ყოველმა გულშემატკივარმა თავი მოვალედ უნდა ჩათვალოს შეაგროვოს ასეთი მასალები და გადასცეს განზრახული მუზეუმისათვის.

კერძოდ, ჩვენ შევუდექით ცნობილი მეცნიერი სპორტსმენის, გიორგი ნიკოლაძის არქივის გარჩევას და თავს მოვალედ ვთვლით, რაც კი ამ არქივში ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმისათვის გამოსადეგი იქნება, გადავცეთ მის ფონდს.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ნიკოლაძის არქივიდან დროებითი სარგებლობის მიზნით ბევრი მნიშვნელოვანი მასალაა წაღებული. ჩვენი თხოვნა იქნება, ვისაც ასეთი მასალები აქვს, დააბრუნოს მუზეუმის ფონდში გადასაცემად.

ვფიქრობთ, რომ ბევრი საინტერესო მასალა იქნება ჩვენი სახელოვანი ალპინისტების ჯაფარიძეებისა და სოსო ასლანიშვილის ოჯახებში, სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი ეგნატაშვილის ოჯახში და სხვაგანაც, რომელთა ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანდა. ეჭვი არ გვეპარება, რომ, განზრახული ღონისძიება ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენს საზოგადოებაში. საჭიროა მხოლოდ ორგანიზებულად შევხვდეთ ამ საქმეს.

მუზეუმის შექმნას რომ თავი მოებას, საჭიროდ და დროულად მიგვაჩნია ამ მიმართულებით კონკრეტული მუშაობის დაწყება. კერძოდ, ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა უნდა გამოყონ მუზეუმის ორგანიზებისათვის უნარიანი ადამიანები, მოუძებნონ მას შესაფერისი ბინა და შეატყობინონ საზოგადოებას: სად, როდის, ვის და რა წესით უნდა გადაეცეს საექსპონატო-სამუზეუმო მასალები.

**რუსუდან ნიკოლაძე,**

პროფესორი **ი. ლორთქიფანიძე,**

სტალინური პრემიის ლაურეატი.

---

იტალიის სპორტის მეცენატები დიდხანს ოცნებობდნენ რომში ოლიმპიური თამაშების ჩატარების შესახებ, მაგრამ მათი ეს სურვილი ყოველთვის „თამაშგარეთ“ რჩებოდა და გამარჯვებულები მუდამ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები გამოდიოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, იტალიელებმაც მიაღწიეს სასურველს და მორიგი, XVII ოლიმპიური თამაშების ჩატარება საბოლოოდ გადაწყდა რომში, ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი რომი ამ დიდი ღონისძიების წარმატებით ჩატარების სამზადისით ცხოვრობს. ყოველ იტალიელს თავის ღირსების საქმედ მიაჩნია 1960 წლის თამაშები ჩაატარონ ისე, როგორც ჯერ არავის ჩაუტარებია.

როგორც ჟურნალი „სპორტივნაია ჟიზნ როსიი“ იტყობინება, ამ მიზნით აქ დიდი ხნით ადრე დაიწყეს სამზადისი. 14 წლის წინათ დაიწყო შესანიშნავი ოლიმპიური კომპლექსის „ფორო იტალიკოს“ მშენებლობა.

სპორტნაგებობათა კომპლექსის ცენტრი — ოლიმპიური სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. მისი 12 გასახდელი 1.500 სპორტსმენს იტევს. იგი უზრუნველყოფილია საკუთარი ელექტროქვესადგურითა და თბოცენტრალით. 66 გასასვლელი საშუალებას იძლევა სტადიონზე მყოფი 90 ათასი მაყურებლის სრული „ევაკუაცია“ მოხდეს 11 წუთში. შესანიშნავადაა მოწყობილი ადგილები პრესის მუშაკთათვის. მართალია, ამჟამად მათი რაოდენობა სტადიონზე მხოლოდ 600-ით განისაზღვრება, მაგრამ თამაშებისათვის ეს ციფრი ათასზე მეტი იქნება. ტრიბუნების ქვეშ მოწყობილია 54 საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, პრესისა და ტელედარბაზები. რადიოკომენტატორებისათვის მოეწყობა 42 კაბინა და სხვა საჭირო მოწყობილობანი. სწორედ ამ სტადიონზე შედგება XVII ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალი.

„ფორო იტალიკოს“ კომპლექსში შედის აგრეთვე ე. წ. მარმარილოს სტადიონი — ელინურ სტილზე აგებული უშესანიშნავესი ნაგებობა 60 ოთხმეტრიანი მარმარილოს ფიგურით, რომლებიც გამოხატავენ სპორტის სხვადასხვა სახეობას. ეს 20-ათას ადგილიანი სტადიონი დაეთმობა შეჯიბრების მონაწილეებს ბალახის ჰოკეიში. გარდა ამისა, უკვე მზადაა დახურული აუზი, ჩოგბურთის კორტები და სხვ.

რომში იქმნება მეორე ოლიმპიური ცენტრიც, სადაც მოეწყობა სპორტის სასახლე, ველოდრომი 400-მეტრიანი ხის ბილიკებით. აქვე იქნება საწვრთნელი დარბაზები, სახელოსნოები. ცენტრალურ პავილიონს ტრეკთან დააკავშირებს მიწისქვეშა გზა, რაც სპორტსმენებს საშუალებას მისცემს ველოსიპედიდან ჩამოუსვლელად „იმგზავრონ“ პავილიონიდან „ბრძოლის ველამდე“.

მოფარიკავეთა 1955 წლის მსოფლიო პირველობა ჩატარდა კონგრესების სასახლეში. აქვე ვარაუდობენ ოლიმპიური შეჯიბრების ჩატარებას ფარიკაობაში. აქ არსებულ დარბაზებში მოეწყობა 12-მდე ბილიკი.



ზუსტად ნახევარი წლის წინათ რომში აშენდა დარბაზი, სადაც განზრახულია ძალოსანთა შეხვედრების ჩატარება. ეს შესანიშნავი სპორტული ბაზა სულ რაღაც თვენახევარში იქნა აგებული.

იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მაქსიმალურად გამოიყენოს უძველეს დროში აგებული და შემდეგ ნანგრევებად ქცეული ადგილები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდამდე ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენდა. მაგალითად, მარათონული რბენის ფინიში მოეწყობა კოლიზეუმთან არსებულ ე. წ. კონსტანტინეს თაღის ქვეშ.

იტალიის ოლიმპიურ კომიტეტს მხედველობიდან არ გამორჩენია „მეორეხარისხოვანი“ ობიექტებიც. უკვე შენდება ოლიმპიური და „ჟურნალისტთა“ სოფლები. პირველი მიიღებს რვა ათასამდე კაცს. თითქმის მთლიანად გადაწყვეტილია იმ 130 ათასი ტურისტის მიღების საკითხიც, რომლებსაც, რომში მოელიან ოლიმპიური თამაშების დღეებში. მართალია, რომის სასტუმროები მხოლოდ 30 ათას სტუმარს იტევს, დაახლოებით 10 ათასი დაბინავდება სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში, სამაგიეროდ ათასობით რომის მცხოვრებმა გამოთქვა სურვილი 20 ათასამდე უცხოელ სტუმარს დაუთმონ ადგილი თავიანთ ბინებში. სხვები იძულებული იქნებიან დაკმაყოფილდნენ ქალაქგარეთ მოწყობილი ტურისტთა ბანაკებით.

უკვე საბოლოოდ გადაწყდა ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის საკითხიც. ყოველდღიურად შეხვედრებზე დასასწრებად გაიყიდება 200 ათასი ბილეთი. ამ დარგში ერთგვარად „შეზღუდული“ იქნებიან მასპინძლები, რომლებსაც მხოლოდ 60 ათასი ბილეთი „დაეთმობათ“, დანარჩენი ფონდი გადაეცემა ტურისტთა სააგენტოებს. ბილეთების გაყიდვა, რომელთა ფასი 200-დან 15 ათას ლირამდე მიაღწევს, დაიწყება ახალი წლიდან.



რ ო მ ი. ერთ-ერთი ოლიმპიური ბაზის მშენებლობა.

---

## ესეც დაამშვენებს მუზეუმს

ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე სავსებით დროულად დაისვა საკითხი თბილისში სპორტული მუზეუმის შექმნის შესახებ. ქართველ ერს მდიდარი და შინაარსიანი სპორტული წარსული გააჩნია, ამიტომ მიზანშეწონილია ამის შესახებ ავამეტყველოთ სპორტული მუზეუმი, რომელიც ქართული სპორტის მემატიანედ გადაიქცევა.

როგორც ცნობილია, ამას წინათ აღმოჩენილ იქნა XII-XIII საუკუნეთა დროის ქართული ჭადრაკის რამდენიმე ფიგურა, ხოლო XVII საუკუნისა — მთლიანი კომპლექტი. ეს უნიკალური საგანძური ამჟამად წარმოადგენს კერძო პირთა საკუთრებას. ამიტომ მუზეუმში მათი მოთავსება, რაც მას ხალხისათვის ხელმისაწვდომს გახდის, იქნება არა მარტო მაღალი სპორტული კულტურის, არამედ ქართული ხელოვნების დამამშვენებელი ექსპონატიც.

მიმზიდველი იქნება გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის შემოქმედების ამსახველი მასალები. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება ა. დადიანის [illegible] ჭადრაკი, წიგნები, რომლებიც [illegible] იშვიათობას წარმოადგენს, [illegible]ბი, ფოტოსურათები, ხელნაწერები. მუზეუმის ადმინისტრაციას შეიძლება ვთხოვოთ და იგი გაგვიყოფს დიდი მოჭადრაკის ამ დანატოვარს.

უხვი ექსპონატები შეგროვდება საბჭოთა პერიოდის შესახებ. აქ იქნება თბილისში ჩატარებულ შეჯიბრებათა ცხრილები, ქართულ ენაზე გამოცემული საჭადრაკო წიგნები და ბევრი, ძალიან ბევრი სხვ. მნახველს, რომელიც გაეცნობა ამ მასალებს, შეუძლია სრული წარმოდგენა იქონიოს ქართულ საჭადრაკო კულტურაზე.

ამიტომ მუზეუმის გახსნა უდაოდ საშვილიშვილო საქმეა, რომელსაც მადლობის დიდი გრძნობით შეაფასებს ჩვენი მომავალი თაობა.

**თ. გიორგაძე**

---

## გ. მიმინოშვილი ასრულებს ოსტატის ნორმას

საზოგადოება „განთიადის“ სპორტულ დარბაზში პროფკავშირების საქალაქო სპარტაკიადის ძალოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი გურამ მიმინოშვილი. მან ქვესაშუალო წონაში აჰიმა 125, აიტაცა 115, აკრა 150 კილოგრამი და სამჭიდის ჯამში დააგროვა 390 კილოგრამი, რითაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

**კ. ზაუტაშვილი,**

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

---

## დღეს თბილისში

საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში ქალთა შორის. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი. დასაწყისი 6 საათზე.

---

# ყოველი მხრიდან

⊙ **ვარშავა.** პოლონეთის მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა ჩაატარა ორი ამხანაგური შეხვედრა საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდებთან. პოლონელებმა ფრანგები დაამარცხეს ანგარიშით 16:4, ხოლო იუგოსლავები — 18:2.

⊙ **ოქსფორდი.** მოტოციკლისტთა საერთაშორისო შეჯიბრება ინგლისისა და ავსტრალიის გუნდებს შორის მოიგეს ავსტრალიელებმა.

⊙ **კოპენჰაგენი.** აქ გაიმართა ავსტრიის ფეხბურთელთა კლუბის „ვაკერისა“ და ადგილობრივი „ალიანსენის“ გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:1 (1:1).

⊙ **ფრედრიკსტადი** (ნორვეგია). ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდმა „კანტო დო რიომ“ დაამარცხა ადგილობრივი გუნდი ანგარიშით 2:1.

⊙ **პარიზი.** საფრანგეთის ხელბურთელთა ნაკრებმა გუნდმა განიცადა დამარცხება (11:13) ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებისაგან.

⊙ **ვარშავა.** პოლონეთის ნაკრებმა ტყვიით სროლაში დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი. საბრძოლო შაშხანიდან სროლაში უპირატესობა იუგოსლაველთა მხარეს იყო.

⊙ **სტამბოლი.** როგორც ცნობილია, თურქეთის პირველობა ფეხბურთში ტარდება ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გათამაშებას ლიდერობს სამი გუნდი — „გალატასარაი“, „ვეფა“ და „ფენერბახჩე“, მეორე ჯგუფში კი ორი კოლექტივი — „ბეშიკტაში“ და „სპორი“.

⊙ **სოფია.** ადგილობრივი „აკადემიკისა“ და უნგრეთის „ჰონვედის“ კალათბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 76:64 (39:27).

⊙ **ბუდაპეშტი.** აქ გაიმართა ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც წარმოადგენდა გენერალურ რეპეტიციას მსოფლიო პირველობის წინ. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ავსტრიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: კერეკეშმა (უნგრეთი), ზუბკოვსკიმ (სსრკ), ვასინმა (სსრკ), ხორვატმა (იუგოსლავია), ჩუჩალოვმა (სსრკ), გურიჩმა (უნგრეთი), ფიულეპმა (უნგრეთი). შეჯიბრება მჩატე წონაში არ ჩატარებულა.

⊙ **მონტევიდეო.** აქ გაიმართა სამხრეთ ამერიკის პირველობა მძლეოსნობაში. მონაწილეობდნენ არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, პარაგვაი, ჩილი, ეკვადორი და ურუგვაი. პირველი სამი საპრიზო ადგილი ასე განაწილდა: ბრაზილია — 244 ქულა, არგენტინა — 180 ქულა, ჩილი — 125 ქულა.

⊙ **ტირანა.** ალბანეთის საფეხბურთო ჩემპიონატს ლიდერობს ტირანის „პარტიზანი“.

⊙ **პრაღა.** ჩეხმა მძლეოსანმა მანდლიკამ 200 მეტრი გაირბინა 21,0 წამში. ეს შედეგი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა მიმდინარე წელს.

**რედაქტორი ი. უბულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“; ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 03919